

ქალები საქართველოდან ტექნოლოგიებში

ქალები საქართველოდან ტექნოლოგიებში

ავტორები: მაიკო ჩიტაია
ნინო გამისონია
იდა ბახტურიძე

რედაქტორი: ნინო ურუშაძე
დიზაინერი: მარიამ მორჩილაძე

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ან მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. პუბლიკაცია მომზადდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში.

© ქალები საქართველოდან /
Women of Georgia

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN

წინასიტყვაობა

ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. პროფესიების გენდრული სეგრეგაცია ერთ-ერთია მრავალ ფაქტორს შორის, რაც სოციალურად და კულტურულად აღიარებული როლების მიხედვით, ქალებისა და კაცების საქმიანობების დაყოფას გულისხმობს.

საქსტატის 2018-2019 წლების მონაცემებით, შრომის ბაზარზე ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიის – საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის, მხოლოდ 18% იყო ქალი. ასევე, ისეთი მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი სპეციალობების პროგრამებში, როგორიცაა ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა – კურსდამთავრებული ქალების წარმომადგენლობა მხოლოდ 16.1%-ია.

ამ მხრივ, საინტერესოა „მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების“ (PISA) 2018 წლის ანგრიშიც: საქართველოში, ტექნიკურ საგნებში გოგოები გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ – გოგოების აკადემიური მოსწრება მათემატიკაში 4 ქულით, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, 14 ქულით მეტია, რაც იმის მანიშნებელია, რომ პროფესიების არჩევისას, გოგოები სხვა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ.

როგორც ბევრ სხვა სფეროში, სპეციალობების არჩევისას, გოგოები და ქალები სოციალურ და კულტურულ წინააღმდეგობებს აწყდებიან. გარკვეულწილად, ამას ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახში არსებული სტერეოტიპები ქალების განვითარებისა და ინტერესების შესახებ. ხშირად, ქალებს „ბუნებრივ მზრუნველებად“ მიიჩნევენ, შედეგად კი, ისინი უფრო მოქნილი გრაფიკის მქონე და მზრუნველობით პროფესიებს ირჩევენ. გოგოებს ნაკლები წახალისება და მხარდაჭერა აქვთ ოჯახის წევრების მხრიდან, თამამად რომ გადალახონ არსებული სტერეოტიპები და არატრადიციულ, კონკურენტულ პროფესიებში თავი დაიმკვიდრონ.

ტექნოლოგიების სფეროში ქალი როლური მოდელების ნაკლებობა, კიდევ უფრო ამყარებს მედიაში, სარეკლამო ინდუსტრიასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სტერეოტიპებს – თითქოს ტექნიკური პროფესიები „კაცის საქმეა.“

2019 წელს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, ინოვაციური განათლების ფონდთან, ჯეოლაბთან, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის უნივერსიტეტებთან პარტნიორობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქალებისთვის ვებ-პროგრამირებისა და სოციალური მედიის მარკეტინგის უფასო სასწავლო პროგრამა და სტაჟირების კურსი შექმნა. პროგრამის მიზანი იყო, ქალების პროფესიული გადამზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მათ ცოდნას ციფრულ მეცნიერებებში. ეს, თავის მხრივ, ქალებს შეუწყობდა ხელს თანამედროვე პროფესიებით დასაქმებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 124 ქალი დარეგისტრირდა. ინტენსიური სწავლების შემდეგ, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სტაჟირების კურსი სხვადასხვა ორგანიზაციებში გაევლოთ. სტაჟირების პროგრამაში კერძო კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სამსახურები ჩაერთნენ.

პროგრამამ, თანამედროვე ცოდნასთან ერთად, ქალებს თავდაჯერებულობა შესძინა, უკეთ რომ გაუმკლავდნენ შრომის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს. რამდენიმე კურსდამთავრებულმა ახალ სამუშაო კონტრაქტს მოაწერა ხელი, სხვებმა პოზიციები გაიუმჯობესეს დასაქმების ადგილზე და რაც მთავარია, მონაწილეების 42%-ის ყოველთვიური სახელფასო განაკვეთი, საშუალოდ, 400 ლარით გაიზარდა.

ასევე, საგულისხმოა, რომ პროგრამაში ჩართულმა ქალებმა სოლიდარობის არნახული პრეცედენტი შექმნეს – რეგიონში ისინი თავად გახდნენ ქალებს შორის ციფრული ცოდნის გავრცელების „კეთილი ნების ელჩები.“

პლატფორმამ „ქალები საქართველოდან“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, პროგრამაში ჩართული 8 ქალის წარმატების ისტორია შექმნა.

ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ციფრულ ტექნოლოგიებსა და სხვა „არატრადიციულ პროფესიებში“ ქალების წარმოჩენასა და საჩვენებელი მაგალითების შექმნას, რაც სამომავლოდ გაუმარტივებს სხვა ქალებს, გადალახონ გენდერული სტერეოტიპები და პერსპექტიულ პროფესიებში დაიმკვიდრონ თავი.

მერი ეზიეშვილი
27 წლის, ოზურგეთი, გურია

"ოზურგეთში დავიბადე და გავიზარდე. სოციალური მედია და პროგრამირება კი მაინტერესებდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ბიზნესი ან ბუღალტერია და აუდიტი უფრო იყო ჩემი საქმე. აუდიტი ვისწავლე კიდეც, მაგრამ ამ მიმართულებით აღარ წავედი, მივხვდი, რომ სხვა რაღაც მაინტერესებდა და სიახლეს ვეძებდი. სხვადასხვა აქსესუარებს — საფულეებს, სამაჯურებს, დეკორატიულ ნაძვის ხეებს ვაკეთებდი ხელით და ბაზრობებსა და გამოფენებზე ვყიდდი. რაც კი შეიძლება ხელით გაკეთდეს, ალბათ, ყველაფრის გაკეთება შემიძლია.

25 წლის ვიყავი, როცა მონაწილეობა მივიღე „ინოვაციური განათლების ცენტრის“ ტრენინგებში – სოციალური მედია მარკეტინგი და ვებ პროგრამირება. პროექტის დაწყებამდე თვენახევრით ადრე, ჩემმა შვილმა, რომელიც მაშინ ორწლინახევრის იყო, მითხრა, მინდა, მსოფლიომ გაგიცნოსო, ასეთი ამბიცია ჰქონდა. დავპირდი, მსოფლიო არ ვიცი, მაგრამ საქართველო კი გამიცნობს, მაგას გპირდები–მეთქი. თან, მაინტერესებდა კიდეც ეს სფერო, რადგან ჩემი აქსესუარების ონლაინ მაღაზიის გაკეთება მინდოდა. ამისთვის მჭირდებოდა ფეისბუქისა და ინსტაგრამის გვერდები, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ უნდა მემართა. გვერდს კი გააკეთებ, მაგრამ მარტო გაკეთება არაა საკმარისი, თუ სწორად არ მართე, სწორი სეგმენტი არ აირჩიე და ა.შ. როცა პროექტის შესახებ მითხრეს, ვიფიქრე, ვცდი, იქნებ, ამაში მაინც გამოვიყენო–მეთქი, ის არ მეგონა, ასეთ წარმატებას თუ მივაღწევდი. როცა ტრენინგზე გარკვეული საფეხურები გავიარე, მივხვდი, რომ უფრო მეტი შეიძლებოდა გამეკეთებინა სოციალურ სივრცეში, ვიდრე წარმომედგინა და უფრო გულდასმით მივუდექი – ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ რასაც ვსწავლობდი, სიღრმისეულად მესწავლა, სულ მობილიზებული მივდიოდი. მანამდე სულ მეუბნებოდნენ, მისაბაძი ხარ სხვებისთვისო და ვფიქრობდი, რომ ამის მერე კიდევ უფრო ვიქნებოდი მისაბაძი მაგალითი ადამიანებისთვის. უფრო თინეიჯერ გოგონებს ვგულისხმობ, როცა ამას ვამბობ. იმდენად კარგი ტრენერები გვყავდა, ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვიღებდით. გოგოები ჯგუფურადაც ვმუშაობდით, აქტიური კომუნიკაცია გვქონდა ერთმანეთთან და ამით ჯგუფში მუშაობაც ვისწავლე. ყველა გვერდში გვედგა და შეგვეძლო, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ხელმძღვანელისა და მენტორისთვის დაგვერეკა და გვეკითხა, რა და როგორ გაგვეკეთებინა.

ფოტო: გედა დარჩია

ტრენინგები რომ დასრულდა, 40 გოგო შეარჩიეს სტაჟირების გასავლელად. გვქონდა შესაძლებლობა, რომ ჩვენი ნამუშევარი წარგვედგინა, ერთ-ერთი მეც ვიყავი. ამ წარდგენის შემდეგ გავიგე, რომ მოვხვდი Grapevine Marketing Agency-ში - ეს არის მარკეტინგული კომპანია, სადაც მაქსიმალურად შემეძლო ჩემი შესაძლებლობების გამოვლენა. იმის გამო, რომ კომპანიაში WordPress-ის ძრავზე არ მუშაობდნენ, კოდირების სწავლაც დავიწყე. სოციალურ მედიას რაც შეეხება, ჩამაბარეს ფეისბუქის რამდენიმე ანგარიში და საკმაოდ კარგად ვუძღვებოდი. ასევე, დიზაინერებს ვეჯექი ხოლმე და ვსწავლობდი, რასაც აკეთებდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ თუ ვებ დიზაინს ვისწავლიდი, განვითარებაში დამეხმარებოდნენ. ვისწავლე ვებ დიზაინი, ოღონდ უკვე ჩემი სახსრებით, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ მომცეს შესაძლებლობა, უფრო მეტად განვვითარებულიყავი. სტაჟირებაზე ერთი თვე ვიყავი და შემდეგ დავრჩი ამ კომპანიაში, როგორც გრაფიკული დიზაინერი.

ამ პროექტმა ფინანსურადაც ძალიან შეცვალა ჩემი ცხოვრება. ახლა კერძო შეკვეთებსაც ვიღებ. სამომავლოდ, მინდა ყველაფერი ვიცოდე, რაც ტექნოლოგიებს ეხება. მინდა, სრული პაკეტი შევთავაზო დამკვეთს. თუ მე ამას შევძლებ და ვიცი, რომ შევძლებ, ძალიან ბედნიერი ვიქნები, რადგან ჩემი შვილის ოცნებაც ახდება. მივხვდი, რომ როგორც სხვას შეუძლია ჩემი დახმარება, ასევე შემიძლია მეც, ივიგე გავაკეთო და სხვას ვასწავლო. მაქვს გეგმა, რომ ჩავატარო ტრენინგები ქალებისთვის. მინდა, რეგიონებში გავაკეთო რამე ქალებისთვის. მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობთ, ქალებს ლექციები ჩავუტაროთ სოციალურ მედიაზე და გამოცდილება გავუზიაროთ. მალე გვექნება Youtube არხიც.

ოჯახისგან ყოველთვის მქონდა მხარდაჭერა. ოღონდ მე რამე მესწავლა და მშობლები არასდროს არაფერზე მეუბნებოდნენ უარს. როცა გადავწყვიტე, ტრენინგებზე მევლო, ჩემმა დამ სამსახურს თავი დაანება, ჩემი შვილისთვის რომ მიეხედა. მერე ჩემი და დედაჩემმა ჩაანაცვლა. მამამ იცის თქმა, შვილო, სულ როგორ უნდა სწავლობდე, ცოტა დაისვენეო. რომ დავურეკე და ვუთხარი, წარმატებას მივაღწიე და მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატება მექნება-მეთქი, ძალიან გახარებული იყო. ჩემი იმედი აქვთ, იციან, რომ რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერს გავაკეთებ.

მინდა, ქალებთან მიმართებაში სტერეოტიპები დაინგრეს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ამ სფეროში ვარ და ამ საქმეს ვაკეთებ. მით უმეტეს, რეგიონებში ქალებს ამისი შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. ყველა გოგოს ვურჩევ, მიზნად დაისახონ ის, რაც უნდათ და ყველაფერს შეძლებენ. მიზანს წარმატებისკენ მივყავართ და წარმატება ყველასთვის მნიშვნელოვანია."

თამარ ონიანი
25 წლის, სოფელი ნაგომარი, გურია

„პროფესიის არჩევისას, გოგოებისთვის, ხშირად, სკოლა ან ოჯახია განმაპირობებელი. მათ ხშირად ურჩევენ, ისეთი პროფესია შეარჩიონ, რომელიც ქალების გამოცდილებასთან ახლოს დგას და კონკურენციაში არ შევლენ კაცებთან. მსგავსი დამოკიდებულებები ქალებს მოტივაციას უკარგავს, საკუთარი ძალები ახალ, უფრო შემოსავლიან პროფესიებში მოსინჯონ და პირად ინტერესებსა და მისწრაფებებს მიჰყვნენ.

ჩემს შემთხვევაშიც ივივე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლა სულ მინდოდა, ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით, უცხო ენებზე ჩავაბარე, შემდგომში პედაგოგად დასაქმების პერსპექტივით. პედაგოგის პროფესიას არ ვაკნინებ, პირიქით, მაგრამ ჩემი ინტერესი სრულიად განსხვავდებოდა ოჯახის მიერ შემოთავაზებული ვერსიისგან. თუმცა, უკვე მოგვიანებით, ჩემს პირველად ოცნებას მაგისტრატურაში შევასხი ფრთები – ჯიპაში, კომუნიკაციების მიმართულებით, მაგისტრის ხარისხი ავიღე.

სწავლის დასრულების შემდეგ, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ისევ რეგიონში დავბრუნებულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქში თავის დამკვიდრება უფრო მარტივია, მინდოდა, პროფესიული განვითარება გურიაში გამეგრძელებინა. სამსახურის მოძებნა ძალიან გამიჭირდა – პატარა სივრცეში ყველაფერი ნაცნობობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, გასაუბრებების შემდეგ ან უარი მომდიოდა, ან, უფრო ხშირად, უკან აღარავინ მირეკავდა. თუმცა ჩემმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ოზურგეთში „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“ დავსაქმდი, სადაც დღემდე ვმუშაობ.

დასაქმებიდან ერთ წელში, გავიგე, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, პარტნიორებთან ერთად, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები გოგოებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსზე მიღება გამოაცხადა. ტექნოლოგიები ყოველთვის მაინტერესებდა, თუმცა თავისუფალ დროსა და თანხებზე არასდროს მიმიწვდებოდა ხელი. ამიტომ, ვიფიქრე, რომ ეს ჩემი განვითარების შესაძლებლობა იქნებოდა.

21-ე საუკუნეში ჩვენი ცხოვრება ტექნოლოგიებთანაა გადაჯაჭვული, უბრალოდ, ქალების როლი ამ პროფესიაში დაკარგული იყო, ამიტომ, ამ კურსზე არა მხოლოდ შევიტანე განაცხადი, გურიაში მცხოვრებ ყველა ნაცნობ თუ უცნობ გოგოსაც ვურჩიე დარეგისტრირება.

სწავლის პროცესი ძალიან საინტერესო იყო – ბევრი ახალი პლატფორმისა და ტექნიკის შესახებ მივიღე ცოდნა, რაც პროფესიულ ზრდაში გამომადგებოდა სამომავლოდ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ პროცესში ქალები ერთმანეთის კონკურენტები კი არ გამოვდექით, არამედ ურთიერთგაძლიერების მიზნით, ერთმანეთს ვუზიარებდით ახალ მიგნებებსა და რესურსებს.

ფოტო: რეზო კვაჭაძე /გედა დარჩია

კურსის დასრულების შემდეგ, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ლისაბონის ვებ სამიტზე დასასწრებად, კურსდამთავრებულებისთვის კონკურსი გამოაცხადა. შესარჩევი პროცესი ჩემი ოჯახის ტრაგიკულ ამბავს დაემთხვა – მამა გარდამეცვალა და ისე მძიმედ ვიყავი, არც კი მახსოვს, გასაუბრებაზე რა ვილაპარაკე. მოგვიანებით დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ლისაბონში მივდიოდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ვიცოდი, ეს შესაძლებლობა იქნებოდა ჩემთვის, თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს უფრო ახლოს გავცნობოდი.

ვებ სამიტზე შევხვდი ფეისბუქის, გუგლის, "სამსუნგისა" და სხვა მსხვილი ციფრული კომპანიების წარმომადგენლებს, რომელთა უმეტესობა ქალი იყო. ვხედავდი, როგორ უზიარებდნენ ეს ქალები ერთმანეთს მიღწევებს და ერთმანეთის გაძლიერებასა და თვითრწმენის ამაღლებას ცდილობდნენ. სამიტის ერთ–ერთ ფორუმზე – „მე მნიშვნელოვანი ვარ“, გუგლის წარმომადგენელმა ქალმა გვთხოვა, გაგვეხსენებინა ჩვენი მიღწევები. ჩემს მიღწევად დავასახელე, რომ ახალგაზრდებთან, მათ შორის, გოგოებთან მუშაობის შესაძლებლობა რომ მქონდა და ვუწევდი პროფესიულ კონსულტაციებს. როგორც მე მოვექეცი გენდერული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ პროფესიის არჩევისას, ასევე გადის დღემდე იმავე გზას ბევრი გოგო. მიხარია, რომ ამ ახალგაზრდებთან სამოტივაციო საუბრების შესაძლებლობა მომეცა, მეთქვა, რომ არ შეშინებოდათ სტერეოტიპების და ისეთი პროფესია აერჩიათ, რომელიც აინტერესებთ და მათ ეკონომიკურ მდგომარეობას გაუმჯობესებს. ჩემი მიღწევაა, რომ ბევრ გოგოს აზრი შევაცვლევინე და ტექნოლოგიების მიმართულებით გავუძლიერე ინტერესები.

ახალი პროფესიისა და ცოდნის დაუფლებამ მეტი თავდაჯერებულობა შემძინა. კოვიდ–19–ის ეპოქაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიები. ჯერ ერთი, ეს საშუალებაა დისტანციურად მუშაობის, ასევე, გაძლევს შესაძლებლობას, დამსაქმებელი თავად შეარჩიო და ერთდროულად რამდენიმე სამუშაო ადგილი გქონდეს, რაც პირდაპირ აისახება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ეს ცოდნა ახლა ზურგს მიმაგრებს და ვიცი, საინტერესო სამუშაოს პოვნა ყოველთვის შემეძლება.

ვფიქრობ, განათლება მაშინაა ღირებული, როცა მას სხვასაც უზიარებ. დიდი სურვილი მაქვს, შევქმნა ისეთი ქსელი, რომლის მეშვეობით, რეგიონში ქალებს სრულიად უსასყიდლოდ გავუზიარებ ცოდნას ტექნოლოგიების მიმართულებით, თავი რომ მეტად თავდაჯერებულად იგრძნონ და ოჯახის წევრებზე არ იყვნენ დამოკიდებული.

ამას მოხალისეობრივად ისედაც ვაკეთებ. ბევრი ახალფეხადგმული მეწარმისთვის დამიგეგმავს პროექტები და სოციალური მედიის სტრატეგიები. ქალებს სჭირდებათ მოტივაცია და მხარდაჭერა, ასევე, ბევრი როლური მოდელი. ამიტომ, ჩემს პირად პასუხისმგებლობად მივიჩნევ მათ დახმარებასა და წახალისებას, მომავალში დამოუკიდებელი ნაბიჯები თავად რომ გადადგან.

მინდა, გოგოებს ვურჩიო, რომ პროფესიების არჩევისას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება. შეიძლება სხვას მოუსმინო, მაგრამ სხვისი გადაწყვეტილებით ბედნიერი ვერ იქნები. არ უნდა შეეშინდეთ განსხვავებული ნაბიჯების გადადგმის, შიში უნდა დაძლიონ და გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღონ. თანაც, ტექნოლოგიის სფეროში ქალებმა უკვე შევძელით გზის გაკვალვა და ამ გზაზე სიარული სხვებს ახლა უფრო გაუმარტივდებათ.“

ფოტო: დავით შველიძე /გედა დარჩია

ქრისტინე ქუთათელაძე

30 წლის, წყალტუბო, იმერეთი

"ტექნოლოგიები ბავშვობიდან მაინტერესებდა. მერვე კლასში ვიყავი, როცა ჩემს ორ მეგობართან ერთად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საოფისე პროგრამების შესწავლის უფასო კურსზე ჩავეწერე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა მეგობრებმა სწავლა პირველივე თვეს მიატოვეს და მარტო დავრჩი, კურსი მაინც ბოლომდე მივიყვანე. პროფესიაც ამას დავუკავშირე და ისეთ ფაკულტეტზე ჩავაბარე, კომპიუტერი და უცხო ენები ერთად რომ ისწავლებოდა. თუმცა, პირველი სემესტრის შემდეგ, მინისტრის ბრძანებით, კომპიუტერები მოგვიხსნეს და საბოლოოდ, მხოლოდ ინგლისური ენის ფილოლოგებად დაგვტოვეს. ამით ძალიან უკმაყოფილო ვიყავი და ამიტომაც, ამ პროფესიით არ მიმუშავია. თავიდან, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის პროექტებზე ვმუშაობდი, გარდა ამისა, წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალში ჩავერთე საორგანიზაციო ჯგუფის წევრად. ეს ფესტივალი, "წყალტუბოს დევნილ ქალთა" ორგანიზებით, წელს უკვე მერვედ ჩატარდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ტრენინგი გავიარე ბლოგის შექმნაზე, რომელიც დოდი ხარხელმა ჩამიტარა. პირველად მაშინ გავიგე, საერთოდ ბლოგი რა იყო. ეს ტრენინგი იმდენად ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა, სახლში რომ დავბრუნდი, ორი ღამე გავათენე ჩემი პერსონალური ბლოგის შესაქმნელად. ეს იმხელა მიღწევა იყო ჩემთვის, ჭკუაზე არ ვიყავი – ამ ბლოგზე პირად შეხედულებებსა და ჩანახატებს აქტიურად ვწერდი. შემდეგ უკვე იყო „ღია რუკები კავკასია"-სთვის GPS ტექნოლოგიით დასავლეთ საქართველოს რუკების დახაზვა. მაშინ ეს ახალი ტექნოლოგია იყო და მთელი იმერეთი GPS-ებით მოვიარეთ. ეს მონაცემები კომპიუტერში შევგყავდა სპეციალური პროგრამით და მოკლედ, ახალ ტექნოლოგიებთან თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი. თუმცა წყალტუბოში მაშინ არანაირი შესაძლებლობა არ იყო, დამატებითი ცოდნა რომ მიმეღო ამ მიმართულებით და ქუთაისში სიარული მიჭირდა, რადგან საღამოს საათებში ტრანსპორტი არ არის. შემდეგ დავოჯახდი და ორსულობის პერიოდში სახლში ყოფნა მომიწია, რაც ჩემთვის ძალიან რთული აღმოჩნდა.

ერთ დღესაც, შემთხვევით, UN Women-ის განცხადებას წავაწყდი, ქალებისთვის სოციალური მედიის მარკეტინგისა და ვებ-პროგრამირების კურსის შესახებ. ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი და განაცხადი შევავსე, მაგრამ დიდი იმედი არ მქონდა, ამდენ ადამიანში რომ მე შემარჩევდნენ. უკვე საერთოდ რომ აღარ მახსოვდა ეს ამბავი, ჩემს პირად ფოსტაზე წერილი მოვიდა, რომ მეორე ეტაპზე გადავედი და ტესტირება უნდა გამევლო. აქ უკვე მომეცა იმედი, რომ შესაძლოა, ფინალურ ეტაპამდე გავსულიყავი და ტესტი დიდი მონდომებით შევავსე. მოკლედ, ისევ მივიღე შეტყობინება, რომ შემარჩიეს და გახსნაზე მეპატიჟებოდნენ ბათუმში. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული იყო. უკვე ორი შვილი მყავდა და მახსოვს, გავიფიქრე, ახლა როგორ ვთქვა, სამი დღით ბათუმში მივდივარ ამ გრანდიოზულ ამბავზე-მეთქი. თავიდან, რა თქმა უნდა, იყო სკეპტიციზმი – „რატომ დადიხარ მაგ ტრენინგებზე?ე", „დროს რაში კარგავ?!", „რაში უნდა გამოიყენო?!" და ა.შ. ასეთებს ყოველთვის ვუმტკიცებდი, რომ არცერთ ტრეინინგზე ტყუილად არ მივლია.

დიდი მოტივაციითა და ენთუზიაზმით ჩავედი ბათუმში. ძალიან ბედნიერი ვიყავი და კურსი იმდენად წარმატებულად დავამთავრე, რომ ბოლოს, იმ 40 საუკეთესო ქალს შორისაც მოვხვდი, ვინც სტაჟირებისთვის შეარჩიეს.

კარგად დამამახსოვრდა, რაც ამ სასწავლო კურსის გახსნაზე გვითხრეს – „ამ პროგრამაში ჩართვით, თქვენ შეგიძლიათ, შეიცვალოთ პროფესია.“ მაშინვე გავიფიქრე, რომ მე ამას გავაკეთებდი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ოცნება ავიხდინე. ჩემი მეორე პროფესია პროგრამირება გახდა, რაც სულ მინდოდა. პირველი ვებ–გვერდი ახლობელს გავუკეთე და ფასიანი შეკვეთაც მალევე მივიღე, უბედნიერესი ვიყავი. ჩემი შვილები ცოტა რომ წამოიზრდებიან, ვგეგმავ, რომ კოდირებაც შევისწავლო და ვებ–საიტები თავიდან ბოლომდე მე დავწერო.

გარდა კერძო შეკვეთებისა, ეს ახალი უნარები სამსახურების დაწყებაშიც ძალიან დამეხმარა. პირველად "წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის წყალტუბის სასულიერო გიმნაზიის" დირექტორმა ირწმუნა ჩემი და სამსახურში მიმიღო. გიმნაზიაში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ვასწავლი, ასევე, ვარ ხელოვნების პედაგოგი. მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი კი თავად დაინტერესდა ჩემი უნარებით — გავიგე, ტექნოლოგიებში ისე გრძნობ თავს, როგორც თევზი წყალში და შენნაირი კადრი ძალიან მჭირდებაო. ასე აღმოვჩნდი საინფორმაციო მენეჯერად საჯარო სკოლაშიც. სკოლაში ყოველთვის ვცდილობ, რომ მხოლოდ წიგნით არ შემოვიფარგლო – წარმატებულ ქალებზე მოყოლით, ბავშვებს ვუნერგავ, რომ გოგოებსაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა საინფორმაციო ტექნოლოგიებში. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ბევრ ოჯახში არწმუნებენ გოგოებს, რომ ისინი ამას ვერ შეძლებენ და სწორედ ამიტომ, ქალები ნაკლებად ინტერესდებიან ტექნოლოგიებით.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩემს ფინანსურ შემოსავალზეც აისახა, მაგრამ გარდა ამისა, ყოველთვის მიხარია, როცა იმათ ვეხმარები, ვისაც ეს სჭირდება. მაგალითად, სიამოვნებით ვეხმარები პედაგოგებს და ჩემთან კერძო გაკვეთილებზე დადიან, ტექნოლოგიური უნარების დახვეწაში ვეხმარები, რადგან ახლა მათ ეს ძალიან სჭირდებათ. სხვა ქალებსაც რომ ვუზიარებ ჩემს ცოდნას, ამით თვითშეფასება მეც ამიმაღლდა. იმის გამო, რომ ვიცი უცხო ენა, ვმუშაობ ხელოვნების სფეროში, მაქვს ხელნაკეთი სათამაშოების მცირე ბიზნესი და უკვე ვებ–პროგრამირებაც ჩემი პროფესია გახდა, პანდემიის დროს არ გავჩერებულვარ. ახალმა ცოდნამ მნიშვნელოვანი უნარ–ჩვევები შემძინა და ვიცი, რა პერიოდიც არ უნდა დადგეს, აღარ დავიკარგები.

ჩემი მოტივაცია ტექნოლოგიებში და კერძოდ, UN Women–ის პროგრამაში, ლილი ფულარიანი იყო, რომელთან ერთადაც მოხალისეობრივად გვაქვს ფეისბუქის გვერდი – "ციფრული ცოდნის გამავრცელებელი ქალები." ამ პანდემიის დროს, დიდი გეგმები გვაქვს — გვინდა, ქალებს დავეხმაროთ ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებაში. მე, როგორც მეწარმეს, ჩემი ცოდნა ძალიან დამეხმარა ონლაინ გაყიდვებში და იმაში, რომ კარგი ონლაინ მარკეტინგი გამეკეთებინა. ამიტომ, დიდი სურვილი მაქვს, რომ იმ მეწარმე ქალებს, რომლებიც წყალტუბოში მრავლად გვყავს, შეძლებისდაგვარად დავეხმარო და შევასწავლო ყველაფერი, რაც მე სოციალური მედიის მარკეტინგში ვიცი.”

ია თავდიშვილი
31 წლის, სოფელი გურიანთა, გურია

“სოფელ გურიანთაში, ქმართან და სამ შვილთან ერთად ვცხოვრობ. ძალიან პატარა, 18 წლის გავთხოვდი, მაგრამ გამიმართლა – ძალიან კარგი ოჯახი მყავს. თავიდან, 7–8 წელი, სახლში ვიჯექი, არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ ბავშვები რომ წამოვზარდე, მომინდა, ჩემი საქმე მქონოდა და ბიზნესით დავკავებულიყავი. დედაჩემისგან კერვა ვისწავლე, საკერავ მანქანას მივუჯექი და აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგადაც გამომდიოდა. ორ–სამ თვეში, ჩემი ატელიეც გავხსენი და ახლა ვხუმრობ ხოლმე, ჯერ ატელიე გავხსენი და კერვა მერე ვისწავლე–მეთქი, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვიყავი. ატელიე ოზურგეთში გავხსენი და ერთი – საბავშვო ხაზი ავიღე. კერვა ბევრ მიმართულებას მოიცავს და მინდოდა, ერთი მიმართულებით ვყოფილიყავი პროფესიონალი. დღემდე მხოლოდ საბავშვო ტანსაცმელს ვკერავ და ძალიან კარგად მუშაობს. ამ პროცესში გავიცანი ერთი გოგო, ანა მასლოვა, რომელმაც სოციალური მედიისა და პროგრამირების ტრენინგის სარეგისტრაციო ბმული გამომიგზავნა და მითხრა, იქნებ, დაგაინტერესოს, შენი ბიზნესისთვისაც კარგი იქნებაო. მისი ძალიან მადლობელი ვარ, რადგან ჩემით ამ ინფორმაციას ვერასდროს ვიპოვიდი — დღე და ღამე საკერავ მანქანასთან ვიჯექი, ვჭრიდი და ვკერავდი. სარეგისტრაციო ფორმა შევავსე, გავაგზავნე და უარი მომივიდა. გული კი დამწყდა, მაგრამ ვიფიქრე, ჩემი ბედი არ ყოფილა–მეთქი. რამდენიმე დღეში პროექტის ტრენერმა, ხათუნა რუსიეშვილმა დამირეკა, ერთი მონაწილე ვერ ახერხებს დასწრებას, რეზერვში იყავით და თუ სურვილი გაქვთ, მოდითო. კაბას ვჭრიდი და სიხარულისგან, მაკრატელი ხელიდან გამივარდა, რას ჰქვია, არ მოვალ–მეთქი?! რა თქმა უნდა, ჩავერთე, ქმარსაც შევუთანხმდი, მას სულ ასეთი დამოკიდებულება აქვს – „თუ რამე გინდა გააკეთე, მე შენ გვერდით ვარ.“

ტრენინგებზე ოთხი თვის მანძილზე უნდა მევლო, მათ შორის, თბილისშიც. ჩემი მაკრატელი დროებით გვერდით გადავდე და ამ საქმეს შევუდექი. თუ რამეს ვაკეთებ, ყოველთვის მთელ გულსა და სულს იმაში ვდებ და აქაც მთელი ძალებითა და გონებით ვიყავი ჩართული. იმ პერიოდში შეკვეთები მქონდა აღებული და დედაჩემი დამეხმარა – თარგებს ჭრიდა და ჩემი სამკერვალოს გოგოები კერავდნენ. ბავშვები ჩემმა ქმარმა და მამამთილმა დაიტოვეს. რადგან კომპიუტერი გამიფუჭდა, ქმარმა ახალი კომპიუტერიც მომიტანა, ეს კომპიუტერი ჩამაბარა და თვითონ ბავშვები ჩაიბარა. მერეც, როცა სამკერვალოდან მოვდიოდი და სამეცადინოდ ვჯდებოდი ხოლმე, ბავშვებს ეუბნებოდა, გამოდით, დედას ხელს ნუ უშლითო.

სწავლის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. მოთხოვნილება მქონდა, რომ სულ მემეცადინა. მანამდე ფეისბუქის გვერდის შექმნაც კი არ ვიცოდი, პირადი პროფილი ბიზნეს გვერდად მქონდა გაკეთებული. პირველ რიგში, ჩემი ბიზნესისთვის საუკეთესო რაც გავაკეთე, ის იყო, რომ გვერდი გავაკეთე — ვისწავლე რეკლამირება, ავტომოპასუხის ჩართვა, პარამეტრების გასწორება და ა.შ. თავიდან, ცოტა შემეშინდა, ამ ამბავში როგორ გადავბარგდე–მეთქი, მაგრამ დავიწყე და ღამის ოთხ საათამდე არ ავმდგარვარ, კომპიუტერთან ვიჯექი და დილით უკვე ჩემი ბიზნესის გვერდი მქონდა. ოზურგეთს მართლა საოცარი გუნდი ჰყავდა, გოგოები ისე ვეხმარებოდით ერთმანეთს, ღამეები არ გვეძინა, ჩვენი ჩატი სულ ენთო. ისეთ რაღაცებსაც ვპოულობდით და ვაკეთებდით, ნასწავლი რომ არ გვქონდა.

ფოტო: რეზო კვაჭაძე / გედა დარჩია

ტრენინგების დასრულების შემდეგაც სასწაულები მოხდა — ვიცოდით, რომ ტრენინგის დასრულების შემდეგ, სერტიფიკატი უნდა აგვეღო, მერე სტაჟირებაც დაგვიმატეს. იმ ორმოც საუკეთესო მონაწილეს შორის მოვხვდი, რომლებმაც ძალიან კარგ კომპანიებში გავიარეთ სტაჟირება. მე "ლინგვინგში" მოვხვდი, რომელიც ძალიან ინოვაციური და პერსპექტიული კომპანიაა, საოცრად თბილი გუნდით. აქ სტაჟირება სოციალური მედიის განხრით გავიარე. სტაჟირება რომ დასრულდა, მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, გული ძალიან მწყდება, რომ გემშვიდობებით–მეთქი. არ გვემშვიდობები, ჩვენთან რჩებიო, მითხრეს. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მოხდებოდა, როგორც წესი, კომპანიებს ურჩევნიათ, რომ თანამშრომელი ადგილზე ჰყავდეთ, მაგრამ უკვე წელიწადზე მეტია, აქ ვმუშაობ.

სტაჟირება რომ დასრულდა, გვითხრეს, რომ ოთხი საუკეთესო მონაწილე, ლისაბონში, ვებ სამიტზე წავიდოდა. ეს იყო ყველაზე დიდი ტექნოლოგიური სამიტი, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ესწრებოდნენ სხვადასხვა კომპანიების IT წარმომადგენლები. ამ ოთხეულშიც მოვხვდი და ამას ჩემით მივაღწიე, შრომა დამიფასდა. ლისაბონში საოცარი რვა დღე გავატარეთ, სად არ ვიყავით – ტექნოლოგიური მუზეუმი ვნახეთ, უახლესი გამოგონებები... ყველა კუთხე–კუნჭული მოვიარეთ. ყველა შანსი გამოვიყენეთ, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა, კავშირები, ცოდნა შევიძინეთ. ასევე, დავესწარი ანა ვაინერის მიერ ჩატარებულ ვორკშოფს "I am remarkable". ეს ვორკშოფი იმდენად მომეწონა, რომ ჩამოვედი, ონლაინ ტრენინგი გავიარე და ფასილიტატორი გავხდი. ლისაბონიდან რომ ჩამოვედი, ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარე. ეს არის ყველაზე მაგარი – როცა რაღაცას სწავლობ და მერე სხვებსაც უზიარებ, ეხმარები და ასწავლი, ეს ძალიან დიდ ბედნიერებას მანიჭებს. ამ ყველაფერმა გამზარდა, ტექნოლოგიებში ყველაფერი ნულიდან დავიწყე, დღეს უკვე ბევრი რამე ვიცი და კიდევ იმდენი მაქვს სასწავლი... ეს ამოუწურავი თემაა. რაც ბიზნეს გვერდი გავაკეთე, ჩემი შემოსავალი სამჯერ გაიზარდა, იქამდე თუ მხოლოდ ოზურგეთს ვემსახურებოდი, უკვე სხვადასხვა კუთხეებიდანაც მაქვს შეკვეთები.

სტერეოტიპული დამოკიდებულებები არავისგან მიგრძვნია, მაგრამ ასეთი ცუდი შემთხვევაც მოხდა – ერთ–ერთი ძალიან ნიჭიერი გოგო ტრენინგზე ქმარმა არ გამოუშვა, ეს ყოველთვის ხინჯად მექნება გულში. ერთხელ ჩვენმა თანამონაწილე გოგომ მანქანით წაიყვანა სახლში და სახლამდეც არ მიაყვანინა თავი, ჩემი ქმარი იეჭვიანებსო. საბოლოოდ, მიატოვებინა ტრენინგი და სულ ვფიქრობ, რომ შეიძლება, იმ გოგოს ჩემზე და სხვებზე მეტიც შეეძლო და ამ ნიჭის რეალიზება ვერ შეძლო.

ერთი პერიოდი კომპლექსი მქონდა, რომ უნივერსიტეტი არ მქონდა დამთავრებული და უდიპლომო ვიყავი. მერე მივხვდი, რომ ეს ქაღალდი არაფერს ნიშნავს. მთავარია, მუდმივად გინდოდეს, რომ ისწავლო. საკუთარ თავს რომ იმ სფეროში აღმოაჩენ, მანამდე რომ ვერ წარმოგედგინა, ძალიან დიდი ბედნიერებაა. გოგოებს ვურჩევ, რომ არ დანებდნენ, თუ რამე არ გამოუვათ, კიდევ სცადონ. თუ ფიქრობენ, რომ ეს ისაა, რაც მათ სჭირდებათ და უნდათ, ყველაფერი გააკეთონ ამ მიზნის მისაღწევად."

ფოტო: დავით შველიძე / გედა დარჩია

თამთა კაპანაძე

20 წლის, სოფელი ტყემლანა, სამცხე-ჯავახეთი

"როგორც ყველა ბავშვი სოფელში, მეც ისე გავიზარდე. მშობლებს სოფლის საქმეებში ვეხმარებოდი, ცელქი და მოუსვენარი ვიყავი. ოჯახში სულ მესმოდა, რომ სწავლის ფასი არაფერია, დედა მათემატიკოსია, მამაც ძალიან განათლებული ადამიანია ამიტომ, ვცდილობდი, კარგი მოსწავლე ვყოფილიყავი. ცოტა კი მეზარებოდა ხოლმე, მაგრამ როცა ვხედავდი, რამხელა მხარდაჭერა მქონდა და როგორ წვალობდნენ, მინდოდა, წარმატებული ვყოფილიყავი. ვმონაწილეობდი პროექტებში, დავდიოდი ბანაკებში და ამან ძალიან განმავითარა. თან, ბავშვი რომ სოფელში იზრდება, მას ნაკლები კომუნიკაცია აქვს ხოლმე და იმდენად არ ვიყავი უცხო ხალხს მიჩვეული, პირველად რომ ბანაკში წავედი, ცოტა ჩავიკეტე. სახლში რომ დავბრუნდი, მივხვდი, რომ სისულელე იყო ასე მოქცევა და მეორედ როცა წავედი, იქ უკვე ყველაფერი ავინაზღაურე — ძალიან თავისუფალი გავხდი და ვცდილობდი, მაქსიმალური მიმეღო. ამ მხრივ, სკოლის პერიოდი, განსაკუთრებით, ბოლო კლასები, კარგად გამოვიყენე.

აბიტურიენტობის დროს, გადავწყვიტე, რეპეტიტორებთან არ მევლო – არ მომწონს ეს ტენდენცია, თითქოს აუცილებლობაა. ვემზადებოდი დამოუკიდებლად, თუ აბიტურიენტები სკოლაში საერთოდ არ დადიან, მე რამდენიმე დღე მექნება გაცდენილი და სკოლის მასწავლებლებიც მეხმარებოდნენ. მათემატიკას სახლში ვმეცადინეობდი და სწავლის პროცესში მთელი ოჯახი ჩართული იყო, თუ რამე ამოსახსნელი მქონდა, გამორიცხული იყო, მშობლებს სხვა საქმე გაეკეთებინათ. ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ზუსტად არ ვიცოდი, რა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ტექნიკური მიმართულებით წავიდოდი. მათემატიკა ძალიან ბევრი მიმართულების წინაპირობაა და ამიტომ ავირჩიე. ბევრს ეგონა, რომ მასწავლებლობა მინდოდა, მეუბნებოდნენ, მასწავლებელი იქნები და თან, ოჯახსაც მიხედავო, ზოგი მეუბნებოდა, რამე ნორმალურ ფაკულტეტზე ჩააბარეო — არის ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულებები პროფესიების მიმართ, თუმცა მე ჯიუტად წავედი ამ სფეროში.

მე-11 კლაში ვიყავი, როცა FLEX-ის პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, ეს ჩემი მეორე მცდელობა იყო. ბოლო ტურში რომ გადავედი და უკვე მეგონა, ამერიკაში წავიდოდი, უარი მომივიდა. იმდენად განვიცადე, დღესაც, როცა FLEX-სა და ჩემს აუხდენელ ამერიკულ ოცნებაზე ვსაუბრობ, ძალიან რთულია, მაგრამ ამ შემთხვევამ ჩემი მომავალი შეცვალა — მარცხის შიში საერთოდ აღარ მაქვს და გამორიცხულია, თუ სადმე რამე საინტერესო გამოჩნდა, ბედი არ ვცადო. ამიტომ, სოციალური მედიისა და ვებპროგრამირების ტრენინგმაც დამაინტერესა. თან, "ინოვაციური განათლების ფონდთან" ურთიერთობის გამოცდილებაც მქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც გრანდიოზულთან მექნებოდა საქმე.

ტრენინგების პროცესი ძალიან კარგი იყო, ტრენერიც საოცარი გვყავდა და გუნდიც — კარგი. მიუხედავად იმისა, რომ შაბათ-კვირას ემთხვეოდა და დასვენების დღეები იყო, სიხარულით მივდიოდით, იმდენად კარგი გარემო გვხვდებოდა. გამორიცხული იყო, დახმარება დაგვჭირვებოდა და მეგი, ან რომელიმე თანაგუნდელი არ დაგხმარებოდა. სწავლის პროცესი სახალისოც იყო და პროდუქტიულიც, მართლა ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ. საბოლოოდ, ძალიან ბევრი რამე ვისწავლეთ — ბიზნეს გვერდის გაკეთება, გარეკლამება, ვისწავლეთ, როგორ მიგვეტანა ჩვენი სათქმელი მომხმარებლამდე, ზოგადად, როგორი კონტენტი უნდა შეგვექმნა, Wordpress-ზე გვერდის აწყობა და ამასთან ერთად, ჯგუფური მუშაობის უნარი შევიძინე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

როცა ტრენინგები მორჩა, სტაჟირების გავლას არ ვაპირებდი, მეგონა, უნივერსიტეტის პერიოდს დაემთხვეოდა. პროექტი ძალიან კარგი ქულებით დავასრულე და მეგის გული ძალიან სწყდებოდა, შენი მაქსიმუმი სცადე და უარი არ თქვაო, ამიტომ სტაჟირების ფორმა მაინც შევავსე. ასე მოვხვდი "ალდაგში." ძალიან გამიხარდა. ერთ-ერთი პროგრამის პიარი მევალებოდა. შევქმენი კონტენტი, ბროშურები და ავირჩიე ჩემი რეგიონი – სამცხე-ჯავახეთი, სადაც მის პოპულარიზაციაზე უნდა მეზრუნა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს იყო ჩემი პირველი სამსახური და მუშაობა აქ ვისწავლე. სტაჟირება რომ მორჩა, ყველას მოგვცეს შესაძლებლობა, რომ ლისაბონში გასამგზავრებლად აპლიკაცია შეგვევსო. დიდი იმედი არ მქონდა, რადგან მართლა ძალიან კარგი გოგოები და ქალები მონაწილეობდნენ ამ პროექტში, თუმცა, საბოლოოდ, მოვხვდი იმ ოთხ მონაწილეს შორის. წასვლა იმიტომ მინდოდა, რომ მაინტერესებდა, რეალურად, დღეს რა დონეზე იყო მსოფლიო. იქ აქცენტი უფრო სტარტაპებზე კეთდებოდა, რაც მე ნაკლებად მაინტერესებს, ამიტომ უფრო ისეთ სესიებს ვესწრებოდი, რაც პროგრამირებაზე იყო მორგებული. ვაკვირდებოდი, რა შეიძლებოდა სამომავლოდ მესწავლა და რა იყო პრიორიტეტული, რისი ანალოგის გაკეთება შემეძლო ქუთაისში და ზოგადად, საქართველოში. სანამ ლისაბონში წავიდოდი, ვნახე, რომ Google იწყებდა დეველოპერების სტუდენტური კლუბის პროექტს ევროპის მასშტაბით, რაც "გუგლ დეველოპერების" პროდუქტების პოპულარიზაციასა და სტუდენტებისთვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობას გულისხმობს. იმას, ვისაც გარკვეული ცოდნა აქვს ამ სფეროში, გამოადგება, რომ უფრო მეტი ისწავლოს, ხოლო ვისაც გამოცდილება არ აქვს, დაეხმარება, გადავიდეს ტექნოლოგიებში. მიუხედავად იმისა, რომ არარეალურად მეჩვენებოდა, გავიარე გასაუბრება და ამირჩიეს. ამ პროექტის ფარგლებში, ვიყავი პარიზში, დეველოპერების სტუდენტური კლუბის ევროპის სამიტზე და აქ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მე უნდა ვყოფილიყავი ქალი ტექნოლოგიებში. როცა პროექტი დასრულდა, გადავწყვიტე, რომ ქუთაისს სჭირდებოდა "ჯი დი ჯი ქუთაისი" — ანუ გუგლ დეველოპერების გუნდი და გავაკეთე. ჯერ მხოლოდ რამდენიმე ივენთის გაკეთება მოვასწარით. ვგეგმავდი ტექნოლოგიური ფესტივალის ჩატარებას ქუთაისში, უნივერსიტეტშიც შევიტანე ეს პროექტი, "გუგლსაც" მივწერე, ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებული მქონდა, თუმცა ხელი პანდემიამ შეგვიშალა. როცა ეს ყველაფერი ჩაივლის, აუცილებლად გავაკეთებ. "გუგლმა" შემდეგ მენტორების პროექტიც დაიწყო მენტორადაც ამირჩიეს, ახალ ლიდერებს რომ დავეხმარო.

დავიჯერე, რომ პროგრამირების სფერო ჩემია და ჩაბარებას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ვაპირებ. კი ამბობენ, რომ პროგრამირებას დიპლომი არ სჭირდებაო, მაგრამ მინდა, ყველა ეტაპი გავიარო. უკვე ვიცი, როგორი უნდა იყოს სტუდენტობა, გარდა იმისა, რომ ცოდნა მინდა მივიღო, ასევე, სტუდენტობის ყველა სარგებელი უნდა გამოვიყენო — იქნება ეს პროექტებსა თუ სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა.

ახლა მეოთხე კურსზე ვარ და უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებში ვმუშაობ, ვგეგმავ და ვახორციელებ პროექტებს, ვთავაზობ იდეებს და ა.შ. სამომავლოდ, ბიზნესის დაწყებასაც ვაპირებ, თუმცა მას შემდეგ, რაც ახალციხეში დავბრუნდები. სკოლის პერიოდში, სულ გული მწყდებოდა, რომ ახალციხეში არ იყო "კომაროვის" მსგავსი ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სკოლა, ამიტომ, ძალიან მინდა, ასეთი სკოლა გაკეთდეს, ახალციხეში მართლა ბევრი ბავშვია, ვინც მათემატიკა კარგად იცის და ნამდვილად გვჭირდება. ბიზნესის დაწყებას ჩემს სოფელში ვგეგმავ — სოფელი იცლება და მინდა, ცოტა ხალხს შევეშველო, სამუშაო რომ ჰქონდეს. ზოგადად, სოფელში ცხოვრებას ვგეგმავ, მაგრამ გეგმები მაქვს ქალაქთან დაკავშირებითაც: მინდა, საგანმანათლებლო სფერო წინ წამოვწიო, შეიძლება, მე ახალი ვერ შევქმნა, მაგრამ ვიცი, რას გადმოვიღებ. ჩემს რეგიონში დაბრუნების შემდეგ პროგრამისტად მხოლოდ ფრილანსერად ვიმუშავებ. მინდა, პროგრამირების უფასო წრეები გავაკეთო ახალციხეში, განსაკუთრებით, ქალებს მინდა დავეხმარო, რადგან სტერეოტიპები ყველგან ყელში უჭერს ქალებს და რეგიონებში – კიდევ უფრო. ვიცი, ეს ძალიან დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ შეუცვლელი არაფერია."

მარიამ ქველიაშვილი

ქუთაისი, იმერეთი

„ეკონომიკის ფაკულტეტი დავამთავრე, თუმცა სწავლის პროცესში აღმოვაჩინე, რომ, რეალურად, სულ სხვა სფერო მაინტერესებდა. მამაჩემი მოყვარული ფოტოგრაფი იყო. მახსოვს, ფირის კამერა „ზენიტი“ ჰქონდა. ფოტოებსაც თავად ამჟღავნებდა პატარა, ჩაბნელებულ ოთახში, სადაც მე და ჩემს და-ძმას არ გვიშვებდა, არადა ფირის გამჟღავნების პროცესის ნახვა ძალიან მინდოდა. ფოტოგრაფიისადმი ინტერესი მაშინ გამიჩნდა – მინდოდა, მეც გადამეღო. თუმცა, როცა ფოტოგრაფი გავხდი, ციფრული კამერა ავირჩიე – არ მიწევს თვლა, რამდენი კადრი დამრჩა ფირზე.

ფოტოგრაფია ჩემით ვისწავლე. ძირითადად, ინტერნეტში ვეძებდი სასწავლო რესურსებს. ჩემი მეგობარი ფოტოგრაფებიც მეხმარებოდნენ და თავიანთ გამოცდილებას მიზიარებდნენ. მერე ბლოგი გავაკეთე Wordpress-ზე, ახლა რომ ვუყურებ, უფრო გასართობი იყო, მაგრამ ამ ბლოგზე მუშაობამ მთავარი მომცა – პოსტებისთვის შინაარსსაც და ვიზუალურ კონტენტსაც მე ვქმნიდი. ეს განვითარებაში მეხმარებოდა. ჩემი მიზანი იყო, სოციალური მედია კარგად მესწავლა.

ამ პერიოდში, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგების გადამზადების პროგრამაში, სოციალური მედიის კოორდინატორად დავიწყე მუშაობა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლების სკოლების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან მიწევდა მუშაობა. საქმე ძალიან ბევრი იყო, ხელფასი – მინიმალური, თუმცა ძალიან მიყვარდა ის, რასაც ვაკეთებდი.

ამ სამსახურის მთავარი ღირებულება ის იყო, რომ შესაძლებლობა მომცა, ჩემი ცოდნა ახლა უკვე იმ ადამიანებისთვის გამეზიარებინა, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ და რომლებისთვისაც ეს ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო. დავდიოდი მაღალმთიან სოფლებში – მოსწავლეებს, პედაგოგებსა და დირექტორებს სოციალური მედიის მართვისა და ვიდეოადვოკატირების ტრენინგებს ვუტარებდი. ბედნიერი ვიყავი, როცა ვხედავდი, ადამიანები როგორი წარმატებით იყენებდნენ ამ ცოდნას პრაქტიკაში.

ფოტო: დავით შველიძე / გედა დარჩია

სწავლების პროცესში პროფესიულად მეც გავიზარდე. ფოტოგრაფიასთან ერთად, ვიდეოგრაფია და მონტაჟი ვისწავლე. ახლა თავად ვაკეთებ ვიდეოისტორიებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიებს პროფესიონალურ დონეზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის უფასო კურსის დროს დავეუფლე. ამ შესაძლებლობამ საკუთარი თავის რწმენა განმიმტკიცა. ხშირად ვამბობ, რომ ამ პერიოდში საკუთარ თავს ბევრი რამ დავუმტკიცე – გარდა იმისა, რომ მსმენელი ვიყავი, ტრენერებს პროფესიულადაც ვეხმარებოდი.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, გადავწყვიტე, ჩემი საქმე დამეწყო და საკონსულტაციო მომსახურება დავიწყე.

3 და 6-თვიანი პაკეტებია, რომელიც სოციალური პლატფორმების გამართვას, აუდიო-ვიზუალური მასალების დამზადებასა და თანამშრომლების გადამზადებას მოიცავს. ბოლო 3 წლის განმავლობაში, სხვადასხვა სეგმენტზე ვმუშაობდი ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში. ტურიზმის სფერო, სამედიცინო დაწესებულებები, დეველოპერული კომპანიები, უძრავი ქონების სააგენტო – ეს იმ სფეროების მოკლე ჩამონათვალია, სადაც წარმატებით გამოვიყენე ჩემი პროფესიული ცოდნა ტექნოლოგიებში. შემოსავლის ნაწილს, ისევ ჩემს განათლებაში ვდებ – ყველაფერი სწრაფად ვითარდება და კონკურენციაც დიდია, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ახალ ტენდენციებს აუწყო ფეხი. ამ ეტაპზე, ანიმაციებს ვაკეთებ, ასევე, ვიდეომონტაჟსა და ექსელის პროგრამას ვასწავლი.

პანდემიამ ჩემს საქმიანობაზეც იმოქმედა, შეიძლება ითქვას, შემაფერხა. რთული გახდა ახალი კომპანიების მოძიება და მათთან თანამშრომლობის დაწყება. გადავწყვიტე, გამოთავისუფლებული დრო ცოდნის გავრცელებას მოვახმარო. ვეხმარები ყველას, ვისაც სოცმედიის მხრივ სჭირდება მხარდაჭერა. მაგალითად, ერთ პედაგოგს დავეხმარე, რომელიც ზესტაფონში ცხოვრობს – Wordpress-ზე ბლოგი ავაწყობინე და ამის საშუალებით, დამატებითი კრედიტ-ქულები მოიპოვა. ძალიან სასიამოვნოა, ადამიანების ბედნიერების მიზეზი რომ ხდები.

ნამდვილად რთული იყო აქამდე მოსასვლელი გზა და თუ ქალებსა და გოგოებს რამით შევუმსუბუქებ მდგომარეობას, ჩემი გზა რომ არ გაიარონ, თავს არ დავზოგავ.“

ანა თითმერია
34 წლის, ზუგდიდი, სამეგრელო

„მათემატიკა ყოველთვის კარგად გამომდიოდა და სკოლიდანვე ვიცოდი, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების შესწავლა მინდოდა. მათემატიკის მასწავლებელს რომ ვუთხარი, ინფორმატიკაზე ვაბარებ–მეთქი, სხვათა შორის, არ გაჰკვირვებია, პირიქით – ძალიან გაუხარდა და სულ ხელს მიწყობდა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინფორმატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე და ბაკალავრის დიპლომიც ავიღე, მაგრამ მეგონა, უნივერსიტეტში უკეთეს ცოდნას მივიღებდი და, მაგალითად, ალგორითმებზე მეტს ვისწავლიდი. სინამდვილეში, ერთი წელიც საკმარისია, რომელიმე მიმართულება საფუძვლიანად რომ შეისწავლო და კონკრეტული პროფესია შეიძინო, მაგრამ იმდროინდელი სისტემა მხოლოდ ზოგად განათლებას გაძლევდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ინფორმატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და სახლში კომპიუტერი არ მქონდა, ინტერნეტ კაფეებში დავდიოდი, სადაც საათობრივად გვიწევდა თანხის გადახდა და იქ მეტი განვითარება შეუძლებელი იყო.

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, რეპეტიტორად ვმუშაობდი – ბავშვებს მათემატიკაში ვამზადებდი, თუმცა ტექნოლოგიების მიმართულებით განვითარება არასოდეს შემიწყვიტავს, შანსს არ ვუშვებდი ხელიდან და ყოველთვის ვერთვებოდი სხვადასხვა ტრენინგში, სადაც უამრავი რამე ვისწავლე. ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, ვერასოდეს იტყვი, რომ ამ სფეროში განვითარება ამოწურე.

რა ტრენინგებიც ამ წლების განმავლობაში გამივლია, ჯერჯერობით, ყველაზე პროდუქტიული გაეროს ქალთა ორგანიზაციის კურსი აღმოჩნდა. ზუსტად მახსოვს, აპლიკაცია ბოლო წუთებში შევავსე და ღამის 4 საათზე გავაგზავნე. მართალი გითხრათ, მაშინ დიდი მოლოდინი არ მქონდა, რომ რამე განსაკუთრებულ ცოდნას მივიღებდი, მაგრამ ძალიან მოკლე დროში ზუსტად ის ვისწავლე, რაც მე მჭირდებოდა. ეს კურსი ჩემთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, რადგან, შეიძლება ითქვას, იმ პროფესიასთან დამაბრუნა, რომელიც უნივერსიტეტში ბოლომდე ვერ ვისწავლე. 125 ქალიდან, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შეირჩა, 40 საუკეთესოშიც მოვხვდი და ამ პროგრამითვე გავიარე სტაჟირება ლოჯისტიკის ქართულ კომპანია „STYX”–ში, სოცმედიისა და ვებ პროგრამირების მიმართულებით.

ფოტო: ირაკლი გამსახურდია/გედა დარჩია

პროგრამის დასრულების შემდეგ კი, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სამეგრელოს ჯგუფის ქალები ერთ გუნდად შევიკრიბეთ და სხვადასხვა კერძო შეკვეთაზე ვმუშაობთ. რამდენიმე ადგილობრივ მეწარმეს გავუკეთეთ ვებგვერდი, სადაც საკუთარი პროდუქციის გაყიდვა შეუძლიათ. ვერ ვიტყვი, რომ ახლა ჩემი შემოსავალი მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული, მაგრამ ჩემს გუნდთან ერთად კერძო პროექტებზე მუშაობა და დამატებითი შემოსავლის მიღებაც შემიძლია.

ჩემი ინტერესის გამო, ოჯახის წევრების მხრიდან წინააღმდეგობა არასდროს მქონია. პირიქით, ყველა მხარს მიჭერდა მაშინაც, როცა ინფორმატიკაზე ჩაბარება გადავწყვიტე და მერეც — როცა ამ სფეროში განვითარებას ვცდილობდი, მეუღლის ოჯახისგანაც მხარდაჭერა მქონდა. ჩემი ყველაზე დიდი მხარდამჭერი ჩემი დედამთილი იყო, რომელიც ყველაფერში ხელს მიწყობდა. ამიტომ, ხშირად აღვნიშნავ ხოლმე, რომ ქალების ერთად დგომა ბევრ რამეს ნიშნავს. თუმცა საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპები, რომ ტექნოლოგიები ქალების სფერო არ არის. წლების წინ, ერთ–ერთ ბანკში ვაკანსია გამოჩნდა, ტექნიკური ხელმძღვანელი სჭირდებოდათ. გასაუბრებაზე რომ მივედი და გოგო დამინახეს, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვერ იჯერებდნენ, რომ ქალსაც შეეძლო ამ პოზიციაზე მუშაობა. ბოლოს, რა თქმა უნდა, არ ამიყვანეს. ასეთი შემთხვევები მეტ სტიმულს მაძლევდა და სწორედ ამის შემდეგ გავიარე არაერთი ტრენინგი.

სხვათა შორის, კერვა დედამთილმა მასწავლა და ჰობი ბიზნესად ვაქციე – 2017 წელს „აწარმოე საქართველომ“ დაგვაფინანსა და საკერავი მანქანები შევიძინე. საოჯახო ტექსტილის წარმოება როცა დავიწყე, მალევე მივხვდი, რომ გაყიდვებში მნიშვნელოვან როლს სოციალური მედია ასრულებდა, ვებგვერდიც თუ გაქვს, შეგიძლია, შენს ქალაქს, რეგიონს და თუნდაც, ქვეყანას გასცდე. ამ ტრენინგების შემდეგ, შევქმენი საკუთარი ბიზნესის ვებგვერდი და გავმართე ფეისბუქის გვერდიც. შედეგად, ჩემი გაყიდვები 30%–ით გაიზარდა, რაც მცირე ბიზნესისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მინდა და ვცდილობ, რომ ქალებსა და ახალგაზრდებს ცოდნა გავუზიარო და სოცმედია საკუთარი და ოჯახის ბიზნესების განვითარებაში გამოიყენონ. სხვათა შორის, ერთ–ერთ მეზობელს, რომელსაც ტანსაცმლის მაღაზია აქვს, სოციალურ ქსელში გვერდი ახლახანს გავუკეთე და ამბობს, რომ ეს ბიზნესის გადარჩენაში დაეხმარა.

ამ ტრენინგებმა ყველაზე მეტად თავდაჯერებულობა შემმატა – 34 წელი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაგვიანებულია, რამე ახალი ისწავლო. მეტი ინტერესი და სტიმული გამიჩნდა, ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით გავიღრმავო და პროფესიულ სასწავლებელშიც ჩავაბარო ვებ–დიზაინის მიმართულებით.”

გვანცა კიკალეიშვილი
37 წლის, თორსა, სამეგრელო

ფოტო: ირაკლი გამსახურდია/გედა დარჩია

„პროფესიით ექიმი ვარ, ერთი წელი „ჩაჩავას კლინიკაშიც“ ვმუშაობდი. ისე გამოვიდა, რომ 2010 წელს, დროებით წამოვედი სოფელში და ბოლოს დიდი ხნით დავრჩი.

2013 წელს, ჩვენს სოფელში არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათი“ შემოვიდა, რომელიც გაეროს ერთობლივი პროექტის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის“ და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების პროექტის – „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, სოფლად მცხოვრები ქალების მიზნობრივ ჯგუფს არჩევდა. გასაუბრებების შემდეგ ჩვენი სოფელიც შეარჩიეს და ასე მოვხვდი პირველად არასამთავრობო სექტორში. ამავე წელს, სოფელ თორსაში ქალთა საინიციატივო ჯგუფი შევქმენით, რომლის ფარგლებშიც არაერთი პროექტი გავაკეთეთ. უკვე 2017 წელს, მივხვდით, რომ მზად ვიყავით, ორგანიზაცია დაგვერეგისტრირებინა და განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“ დავაფუძნეთ. ამის შემდეგ, მეტი შესაძლებლობა გაგვიჩნდა სხვადასხვა პროექტის განხორციელებისთვის, მაგრამ მუდმივი შრომა გვიწევს, რომ არაფერს ჩამოვრჩეთ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის სასწავლო პროგრამა სოციალურ ქსელში ვნახე და ჩემი გუნდის წევრს, ანი ბუკიას გავუზიარე. საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენი ორგანიზაციიდან ორივე შეგვარჩიეს და პროექტში ჩავერთეთ. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების სფეროსთან ნაკლები კავშირი მქონდა, სოციალური მედია მარკეტინგით დავინტერესდი. იმ პერიოდში, ჩვენმა ორგანიზაციამ ჩირის მცირე სოციალური საწარმო დააფუძნა, სადაც იძულებით გადაადგილებული ქალები არიან დასაქმებული და ვიფიქრე, მიღებული ცოდნა საწარმოს განვითარებისთვის გამოგვადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არაერთი ტრენინგი მქონდა გავლილი, ეს პროგრამა ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, რადგან სრულიად ახალ სფეროს ეხებოდა. ამ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, პროგრამისტობას ვერ დავიბრალებ, მაგრამ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მივიღე, განსაკუთრებით, სოციალურ მედია მარკეტინგში, ჩემს საქმიანობაში ძალიან მეხმარება. გარდა ამისა, ამ პროგრამამ ძალიან მნიშვნელოვან ადამიანებთან დამაკავშირა, მაგალითად, ნანა დიხამინჯიასთან, ლილი ფულარიანთან და კიდევ ბევრთან, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ. ნანა და ლილი ჩვენი ორგანიზაციის მოხალისეებს მუდმივად უზიარებენ ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ. ახლა უფრო დავინახე საჭიროება და მეც მეტად ვცდილობ, სოფლის ახალგაზრდობა ტექნოლოგიურ ცოდნასა და სიახლეებს არ ჩამორჩეს. დღემდე არსებობს სტერეოტიპული წარმოდგენები, რომ ტექნოლოგიებს მათემატიკა სჭირდება და ეს გოგოების სფერო არ არის. ახალგაზრდებში ამ ცნობიერების შეცვლას ვცდილობთ. მე თვითონაც ვიყავი ამ სტერეოტიპების მსხვერპლი, რადგან მთელი ბავშვობა მესმოდა, რომ ქალს ჰუმანიტარული საგნები უნდა ესწავლა, მაგრამ ტრენინგზე ბევრი ახალგაზრდა ქალი რომ დავინახე, ვირწმუნე, თუ მოვინდომებდი, ამ სფეროში მეც შევძლებდი ცოდნის მიღებას. მახსოვს, ლილი ფულარიანის პრეზენტაციამ საოცარი ინსპირაცია მომცა და დავიჯერე, რომ ჩემთვის შეუძლებელი არაფერია. პროგრამაში 120-ზე მეტი ქალი მონაწილეობდა და დღეს უმრავლესობა სხვადასხვა მიმართულებით ვიყენებთ ამ ცოდნას.

ვინაიდან ჩვენი ორგანიზაცია ახალგაზრდებთან აქტიურად მუშაობს, მე და ანიმ უპირატესობა ცოდნის გაზიარებას მივანიჭეთ. გარდა ამისა, ორგანიზაციის განვითარების სრულიად სხვა პერსპექტივები გაგვიჩნდა და არაერთი პროექტი წამოვიწყეთ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაზე. ჩვენს პარტნიორებსაც მეტი ნდობა უჩნდებათ, როცა იგებენ, რომ სოციალური მედიის მარკეტინგისა და ვებპროგრამირების კურსი გვაქვს გავლილი და ჩვენს საქმიანობაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის აუცილებლობა კარგად გვესმის.

ჩვენი ორგანიზაციის ბაზაზე, ხობში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრი ფუნქციონირებს. თბილისის „ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ჩვენი დღის ცენტრი სრულად გავაციფრულეთ. ცენტრში 20 ბავშვი გვყავს და ჩვენს ბენეფიციარებს, სპეცმასწავლებლისა და ფსიქოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, შეუძლიათ, პლანშეტები ინდივიდუალურად გამოიყენონ შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში ახალი ტექნოლოგიების შესახებ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და კონტაქტები, ამ კონკრეტული პროექტის განხორციელებაშიც ძალიან დაგვეხმარა. კოვიდ პანდემიის პირობებში, თითქმის ყველა სფეროში დასჭირდათ ტექნოლოგიების გამოყენება. ჩემ გარშემოც ბევრმა დაიწყო უკვე Facebook-ზე სხვადასხვა რამის გაყიდვა, მაგრამ უმრავლესობას მარკეტინგისა და ბრენდირების მინიმალური ცოდნაც კი არ გააჩნია. ამიტომ, რასაც ვაკვირდები, მათ პოსტებს ძალიან მცირე გამოხმაურება აქვს ხოლმე და ეს მათ გაყიდვებზეც აისახება.

ამ ეტაპზე, მე და ანი ვმართავთ ჩვენი ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდს. ორგანიზაციის ყველა აქტივობა ონლაინ იგეგმება, მაგრამ ინფორმაციის გავრცელებას და ადამიანების მობილიზებასაც საკმაოდ კარგად ვახერხებთ. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ შეიძლება, ონლაინ უფრო მეტი ადამიანის ჩართვას ვახერხებთ ახლა, ვიდრე ოფლაინ გამოგვდიოდა. პანდემიის პირობებში, ის ცოდნა, რომელიც ამ პროგრამამ მომცა, კიდევ უფრო მეტად დამჭირდა. ამიტომ, ერთი რჩევა მექნება ქალებისთვის – როცა რაიმეს სწავლის შესაძლებლობა ეძლევათ, უარი არ თქვან. არ ვიცით, ცხოვრება ვის რას გვიმზადებს და ეს ცოდნა სად დაგვჭირდება.“

ძალები საქართველოდან